№1565 2015 წლის 17 ივლისი ქ. თბილისი

სსიპ - საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის“ მიერ სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად განხორციელების მიზნით, სსიპ - საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულმა ცენტრმა - „საქპატენტმა“, ევროპული ფეხბურთის ასოციაციების კავშირის 2015 წლის სუპერთასის და მასთან დაკავშირებული ღონისძიებების ჩასატარებლად საქართველოს მთავრობის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიზნით, 9000 (ცხრა ათასი) ლარის ფარგლებში, საზოგადოების ინფორმირებისათვის საინფორმაციო კამპანიის ფარგლებში, საჭირო შესყიდვები განახორციელოს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, საკუთარი სახსრებიდან.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**